



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 248

ქალაქი ქუთაისი      30      მარტი      2016 წელი

ქალაქ ქუთაისში, წმინდა ნინოს ქუჩის №11 სახლის ფასადზე  
ცნობილი ქორეოგრაფის, ქუთაისის საპატიო მოქალაქის,  
ვახტანგ კუპრეიშვილის მემორიალური დაფის განთავსების  
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ქუჩის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივების საქალაქო კომისიის 2016 წლის 15 მარტის სხდომის №61 ოქმის საფუძველზე:

**მუხლი 1.** განთავსდეს ქალაქ ქუთაისში, წმინდა ნინოს ქუჩის №11 სახლის ფასადზე, ცნობილი ქორეოგრაფის, ქუთაისის საპატიო მოქალაქის, ვახტანგ კუპრეიშვილის მემორიალური დაფა ოჯახის ხარჯებით.

**მუხლი 2.** მემორიალური დაფის ესკიზი და განთავსების ადგილი შეთანხმდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურთან.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი